

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

09 აგვისტო 2017 წ.

თბილისი

№ 503/03.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების” მე-14 მუხლის შესაბამისად და “აბიტურიენტებისათვის/სტუდენტებისათვის მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 02 აგვისტოს №695 ბრძანების გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

- I. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნენ შემდეგი მოქალაქეები:
 1. ადილ როი- ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე;
 2. ფარაჰ ადებ (აჰმად სუბჰი) სარტავი- იორდანის ჰაშემიტური სამეფოს მოქალაქე.
- II. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის რუსულენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე- დავუდ იბრაჰიმოვი.
- III. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის რუსულენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნეს რუსეთის ფედერაციის მოქალაქე- დავით მჭედლიშვილი.
- IV. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ქართულენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნას საქართველოს მოქალაქე - კობა ჭანტურიძე.
- V. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე ჩარიცხულ იქნას საქართველოს მოქალაქე- მარიამ გეგელია.
- VI. ამ ბრძანების პირველი, მეორე და მესამე პუნქტებით განსაზღვრულ სტუდენტებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროთ 2017 წლის 01 დეკემბრამდე.
- VII. ამ ბრძანების მეოთხე და მეხუთე პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროთ 2017 წლის 01 ნოემბრამდე.

VIII. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე და ჩარიცხული სტუდენტის სწავლების კურსის განსაზღვრა დაევალოს მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამის დირექტორს ე. ეკალაძეს, თსსუ-ის უცხოელ სტუდენტთა განათლებ ის დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურიას და თსსუ-ის სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანს ს.მღებრიშვილს.

IX. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

X. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს რ. ბერიაშვილს, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამის დირექტორს ე. ეკალაძეს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურიას, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს დ. დელიბაშვილს, თსსუ-ის სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანს ს.მღებრიშვილს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ზ. ტალახაძეს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს ნ. მარიამიძეს, მთავარ ბუღალტერს ი. დოლიძეს.

XI. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.



პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი